# სატენდერო განაცხადი

თარიღი: 29/04/2025

შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯია

ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6

**შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯი**
ს/კ 402045210
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159

## სარჩევი


კომპანიის შესახებ ........ 3

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ტენდერი ........ 4

ტენდერში მონაწილეობის წესები ........ 4

სატენდერო პირობები ........ 5

წარსადგენი დოკუმენტაცია ........ 5

სამუშაოს შესრულების პირობები ........ 5





**შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯი**
ს/კ 402045210
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159

## კომპანიის შესახებ

პენკი კონტინენტაი ჯორჯია (ს/კ. 402045210) საქართველოში დაარსდა 2016 წელს და სპეციალიზდება ბანკებისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისთვის, საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტების განვითარებაში. ჩვენი გადაწყვეტილებები კომპანიებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს ეხმარება ოპერაციების გამარტივებასა და ავტომატიზებაში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებლებისთვის ახალი სერვისების დანერგვაში.

Penki Kontinentai Georgia წარმოადგენს Diebold Nixdorf-ის — მსოფლიოში წამყვანი საბანკო მოწყობილობების მწარმოებლის — ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში.

**ტექნოლოგიური პარტნიორები:**

- თვითმომსახურების და უსაფრთხოების სისტემების მწარმოებლები
- პროცესების ავტომატიზაციის გადაწყვეტილებების შემქმნელები
- ნაღდი ფულის დამუშავების მოწყობილობების მწარმოებლები
- POS-ტერმინალების მწარმოებლები და გადახდის გადაწყვეტების შემქმნელები


შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯი
ს/კ 402045210
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159

## სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ტენდერი

შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯია, შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისთვის. არსებული მდგომარეობით ობიექტის ორი სართული უკვე აშენებულია **722,5 კვ/მ**, როგორც საცხოვრებელი სახლი და 5 წელია, რაც ფუნქციონირებს, როგორც ოფისი. **(იხ. დანართი #1 არსებული შენობის მდგომარეობა).** კომპანია აპირებს არსებული შენობის გაფართოებას და ამ მიზნით, გეგმავს შემდგომ სამშენებლო სამუშაოებს:

- 1-ლი და მე-2 სართულის მიშენება (თეთრი კარკასი)
- მე-2 სართულის საზაფხული ფართის დაშენება (თეთრი კარკასი)
- მე-3 სართულის დაშენებება (თეთრი კარკასი)
- საევაკუაციო კიბის უჯრედის მოწყობა (თეთრი კარკასი)
- სარემონტო სამუშაოები (სრული რემონტი)

რის შემდეგაც შენობას დაემატება **372 კვ/მ** ფართობი:ეს ყოველივე უფრო დეტალურადაა აღწერილი **(დანართი #2 ფასთა ცხრილში),** ტექნიკური დავალების სახით, ხოლო პროექტის დეტალებს შეგიძლიათ გაეცნოთ : **(დანართი #3 ოფისის პროექტი - ახალი); (დანართი #4 ფასადი); (დანართი #5 ფოტომონტაჟი); (დანართი #6 ჭრილები); (დანართი #8 ოფისის პროექტი - არსებული).**

გთხოვთ წარადგინოთ თქვენი წინადადება, შესყიდვების ელექტრონილი სისტემის, www.tenders.ge საშუალებით. ტენდრი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

***ვაჭრობის გარეშე გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო დოკუმენტაციის ჩაბარების ვადის ამოწურვის შემდეგ მონაწილეს საშუალება აღარ ეძლევა ცვლილება შეიტანოს შეთავაზებულ ფასში.***

## ტენდერში მონაწილეობის წესები

წინადადების ატვირთვა შესაძლებელია **29.04.2025 -დან 08.05.2025წ. 17:00 სთ-ის** ჩათვლით.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ვლადიმერ ღლონტი, **+995 577 338 878**



**შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯი**
ს/კ 402045210
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159

## სატენდერო პირობები

ფასები წარდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით. შემოთავაზება შევსებული უნდა იყოს, **"ფასთა ცხრილი დანართი #2"** -ის ფორმაში, სადაც მოცემულია შესასრულებელ სამუშაოთა სპეციფიკაცია.

გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენ საუკეთესო მაჩვენებელს შემდეგი პარამეტრებით:

- ღირებულება
- ხარისხი
- საგარანტიო პირობები
- სამუშაოს შესრულების ვადა
- მსგავსი ტიპის სამუშაოს შესრულების გამოცდილება
- ანგარიშსწორების პირობები

აუქციონის თანაბარი ფასებით დასრულების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პრეტენდენტს, რომელიც პირველი დააფიქსირებს საბოლოო ფასს, მსგავსი სამუშაო გამოცდილების ქონის თანაბარ პირობებში.

## წარსადგენი დოკუმენტაცია

**დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს/ატვირთოს შემდეგი ინფორმაცია:**

- სამუშაოების ღირებულების გადახდის პირობა (დანართი #2)
- საგარანტიო პირობები, ვადა; საგარანტიო პერიოდში ნაკლის გამოსწორების ვადა (დანართი #2)
- შევსებული შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (დანართი #2)
- სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი (დანართი #2).
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი #7)
- **ბოლო ორი წლის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი და ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაცია;**

## სამუშაოს შესრულების პირობები

- სამშენებლოო მოედანზე დაცული უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ნორმები (აღჭურვილობა, დამცავი საშუალებები, ბარიკადები და ა.შ.) და კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტების მომსახურება.
- მიმწოდებელი კომპანია პასუხისმგებელია გამოყენებული მასალისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.
- სამუშაოების შესრულებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული ნორმები, სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს რეგულარულად.


**შპს პენკი კონტინენტაი ჯორჯი**
ს/კ 402045210
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159

- სამშენებლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს, ენერგოეფექტურობის სტანდარტების გათვალისწინებით.

**პრეტედენტს, დამკვეთის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შეღავათების მქონე გადამხდელი";
- შედარების აქტი შემოსავლების სამსახურიდან მიმდინარე თარიღით.
- საბანკო რეკვიზიტები (ბანკის მიერ გაცემული ბეჭდიანი ცნობის სახით ან ინტერნეტბანკიდან ამოღებული);

*წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.*

**სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.**

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში.